შპს პაკკა ჯორჯია

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 30 ივნისს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძველი 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 11
4. ძირითადი საშუალებები 12
5. მარაგები 13
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 13
7. ფული და ფულის ეკვივალენტები 13
8. მიღებული სესხები 14
9. ამონაგები 14
10. ხარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით 15
11. სხვა წმინდა შემოსავალი 15
12. წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) 15
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 16
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 16
15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 17

მმართველობის ანგარიშგება 21

Tel: +995 32 2545 845
Tel: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს პაკკა ჯორჯიას დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს "პაკკა ჯორჯიას"** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ 2022 წლის 30 ივნისს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 2,853 ათასი ლარი და ამ თარიღისათვის მას აქვს 10,774 ათასი ლარის დაგროვილი ზარალი. ასევე, კომპანიას უფიქსირდება 1,841 ათასი ლარის უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და მომავალში საოპერაციო საქმიანობის გაგრძელების, აღებული მოვალეობების შესრულებისა და საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა დამოკიდებულია კომპანიის შესაძლებლობაზე განახორციელოს მომგებიანი ოპერაციები ან/და მოიზიდოს დამატებითი ფინანსები.

მოცემული ფაქტები მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს აღნიშნული განუსაზღვრელობით.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მის მომზადებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

28 ოქტომბერი 2022

შპს პაკკა ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	30 ივნისი 2022	30 ივნისი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	6,657	7,242
		6,657	**7,242**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	1,076	1,267
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	553	1,114
საგადასახადო აქტივი		65	120
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	354	1,515
		2,048	**4,016**
სულ აქტივები		**8,705**	**11,258**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		12,932	12,932
დაგროვილი ზარალი		(10,774)	(8,191)
სულ კაპიტალი		2,158	**4,741**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8	3,121	1,029
		3,121	**1,029**
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8	3,418	5,432
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		8	56
		3,426	**5,488**
სულ ვალდებულებები		**6,547**	**6,517**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**8,705**	**11,258**

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 28 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ გიორგი ვასაძე

ბუღალტერი _____ სოფო ლოგუა

10-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	30 ივნისი 2022	30 ივნისი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	6,657	7,242
		6,657	7,242
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	1,076	1,267
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	553	1,114
საგადასახადო აქტივი		65	120
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	354	1,515
		2,048	4,016
სულ აქტივები		8,705	11,258
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		12,932	12,932
დაგროვილი ზარალი		(10,774)	(8,191)
სულ კაპიტალი		2,158	4,741
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8	3,121	1,029
		3,121	1,029
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8	3,418	5,432
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		8	56
		3,426	5,488
სულ ვალდებულებები		6,547	6,517
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,705	11,258

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 28 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ გიორგი ვასაძე

ბუღალტერი _____ სოფო ლოგუა

10-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	**2022**	**2021**
ამონაგები	9	7,229	10,560
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის თვითღირებულება	10	(8,945)	(10,833)
საერთო ზარალი		**(1,716)**	**(273)**
სხვა წმინდა შემოსავალი	11	47	254
კომერციული ხარჯები	10	(212)	(240)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(733)	(632)
საოპერაციო ზარალი		**(2,614)**	**(891)**
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	12	31	(766)
მთლიანი სრული ზარალი		**(2,583)**	**(1,657)**

10-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2020 წლის 1 ივლისისთვის	**12,932**	**(6,894)**	**6,038**
ოპერაციები მფლობელთან	-	360	**360**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,657)	**(1,657)**
2021 წლის 30 ივნისისთვის	**12,932**	**(8,191)**	**4,741**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(2,583)	**(2,583)**
2022 წლის 30 ივნისისთვის	**12,932**	**(10,774)**	**2,158**

10-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	**2022**	**2021**
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		**(2,583)**	**(1,657)**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	693	778
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები	4, 11	1	23
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	11
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების წმინდა ცვლილება	10	26	-
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება		443	323
მზა პროდუქციის გაუფასურება	10	908	164
გრანტიდან მიღებული შემოსავალი	11	(178)	(263)
წმინდა (შემოსავალი)/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	11, 12	(419)	443
		(1,109)	**(178)**
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგები		(717)	(543)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		480	(698)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(48)	(287)
საგადასახადო აქტივი		55	(36)
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		**(1,339)**	**(1,742)**
გადახდილი პროცენტი		(502)	(263)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		**(1,841)**	**(2,005)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	4	(111)	(109)
ფულადი ნაკადები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		2	162
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება/(გადინება) საინვესტიციო საქმიანობიდან		**(109)**	**53**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსულობა მიღებული სესხებიდან	8	5,903	6,531
მიღებული სესხების დაფარვა	8	(5,193)	(3,408)
მიღებული გრანტები	11	178	263
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან		**888**	**3,386**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		**(1,062)**	**1,434**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		**1,515**	**182**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(99)	(101)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		**354**	**1,515**

10-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს პაკკა ჯორჯია (შემდგომში - კომპანია) დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო კოდით - 419988222. კომპანიის იურიდიული მისამართია ვაჟა-ფშაველას #25, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭითაწყარი 2139, საქართველო.

კომპანია აწარმოებს და საქართველოდან ექსპორტზე გააქვს თხილის პროდუქტები. ამ ინდუსტრიაში კომპანია საქმიანობს 2013 წლიდან და მომხმარებლების ძირითადი ნაწილი ევროკავშირის ქვეყნებისა და რუსეთის ფედერაციიდან ჰყავს.

კომპანიის მფლობელები არიან შპს პაკკა ფაინანსი - 64.03% და შპს იმფაქთ ფაინანს ფონდ - 35.97%. 2021 და 2020 წლების 30 ივნისის მდგომარეობით საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის ელენა ბარუფოლ გოგელი.

2. მომზადების საფუძველი

2.1 შესაბამისობის საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 ივლისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები დამრგვალებულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

2022 წლის 30 ივნისს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 2,583 ათასი ლარი და ამ თარიღისათვის მას აქვს 10,774 ათასი ლარის დაგროვილი ზარალი. ასევე, კომპანიას უფიქსირდება 1,841 ათასი ლარის უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადები. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რადგან დამფუძნებელი კომპანია თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში, განაგრძოს კომპანიის ფინანსური დახმარება და არ მოითხოვოს ვალდებულებების დაფარვა იმგვარად, რომ საფრთხე შეუქმნას კომპანიის ლიკვიდურობასა და მომავალ საოპერაციო საქმიანობას. დამატებით, 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა დადებითი კაპიტალი 2,158 ათასი ლარის ოდენობით. 2021-2022 წლების საანგარიშგებო პერიოდში, დედა კომპანიამ დამატებითი გასცა 1,852 ათასი ლარის ოდენობით სესხი. დამფუძნებლის მხრიდან კომპანიის ფინანსურად მდგრადი განვითარებისთვის გრძელვადიანი მხარდაჭერა დემონსტრირებულია ახალი სეზონისთვის დამატებითი სესხის გაცემით (დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-14 განმარტებით შენიშვნაში). კომპანია გეგმავს როგორც გეოგრაფიულ, ისე მომხმარებელთა ბაზრების დივერსიფიკაციას. გრძელვადიანი განვითარების გეგმის მიხედვით კომპანია აპირებს Pakka-ს ბრენდირებული თხილის პროდუქციის გაყიდვების გაზრდასა და ახალი პროდუქტების დანერგვას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემისას. საქონლის დაბრუნების უფლებით გაფორმებული კონტრაქტის შემთხვევაში, ამონაგები აღიარდება იმ თანხით, რომელზეც მოსალოდნელია, რომ არ მოხდება საქონლის უკან დაბრუნება.

შესაბამისად, აღიარებული ამონაგების ოდენობა კორექტირდება მოსალოდნელი დაბრუნებების ოდენობით, რაც შეფასებულია თხილის პროდუქციისა და მომხმარებლების კონკრეტული ტიპების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები ცვდება განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებაზე აქტივის გამოყენების შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელის მიღების პერიოდთან დაკავშირებით. აღნიშნული შეფასება პერიოდულად გადაიხედება. შეფასებების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენას იქონიოს აქტივების საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი პერიოდების ცვეთის ხარჯზე. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	სილო და შესანახი ავზები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2021 წლის 1 ივლისისთვის	**82**	**3,403**	**590**	**5,993**	**376**	**10,444**
შეძენა	-	11	-	98	-	**109**
რეალიზაცია	-	-	-	(452)	(2)	**(454)**
ჩამოწერა	-	-	-	(50)	-	**(50)**
2021 წლის 30 ივნისისთვის	**82**	**3,414**	**590**	**5,589**	**374**	**10,049**
შეძენა	-	20	-	79	12	**111**
რეალიზაცია	-	-	-	(4)	-	**(4)**
ჩამოწერა	-	-	-	(4)	(4)	**(8)**
2022 წლის 30 ივნისისთვის	**82**	**3,434**	**590**	**5,660**	**382**	**10,148**
დაგროვილი ცვეთა						
2021 წლის 30 ივნისისთვის	**-**	**(221)**	**(67)**	**(1,834)**	**(216)**	**(2,338)**
ცვეთის ხარჯი	-	(85)	(40)	(614)	(39)	**(778)**
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	281	1	**282**
ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	27	-	**27**
2021 წლის 30 ივნისისთვის	**-**	**(306)**	**(107)**	**(2,140)**	**(254)**	**(2,807)**
ცვეთის ხარჯი	-	(85)	(39)	(544)	(25)	**(693)**
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	2	-	**2**
ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	3	4	**7**
2022 წლის 30 ივნისისთვის	**-**	**(391)**	**(146)**	**(2,679)**	**(275)**	**(3,491)**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2021 წლის 30 ივნისისთვის	**82**	**3,108**	**483**	**3,449**	**120**	**7,242**
2022 წლის 30 ივნისისთვის	**82**	**3,043**	**444**	**2,981**	**107**	**6,657**

სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხის სასარგებლოდ კომპანიამ დააგირავა მიწა, შენობები და ნაგებობები, თხილის წარმოების მანქანა-დანადგარები.

5. მარაგები

	30 ივნისი 2022	30 ივნისი 2021
გადამუშავებული თხილი	956	712
თხილის გული	42	470
შესაფუთი მასალები	78	85
	1,076	**1,267**

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	30 ივნისი 2022	30 ივნისი 2021
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	488	1,063
სხვა	12	21
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები	(52)	(33)
	448	**1,051**
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	112	63
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები	(7)	-
	105	**63**
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**553**	**1,114**

ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგია:

	30 ივნისი 2022	30 ივნისი 2021
არ არის ვადაგადაცილებული	270	1,012
ვადაგადაცილებული მაგრამ, არაგაუფასურებული	221	102
ვადაგადაცილებული და გაუფასურებული	121	33
	612	**1,147**

ცვლილებები ანარიცხებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	30 ივნისი 2022	30 ივნისი 2021
ნაშთი წლის დასაწყისში	**33**	**33**
ხარჯი პერიოდის განმავლობაში	26	-
ნაშთი წლის ბოლოს	**59**	**33**

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	30 ივნისი 2022	30 ივნისი 2021
ნაღდი ფული სალაროში	2	26
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	49	40
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	303	1,449
	354	**1,515**

8. მიღებული სესხები

	30 ივნისი 2022	30 ივნისი 2021
მიღებული სესხის ძირი	6,530	6,391
დარიცხული პროცენტი	9	70
	6,539	**6,461**

მიღებული სესხები შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

				30 ივნისი 2022		30 ივნისი 2021	
	ვალუტა	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირი	პროცენტი	ძირი	პროცენტი
შპს პაკკა ფაინანსი 1	აშშ დოლარი	1-04-23	7%	2,531	-	-	-
შპს პაკკა ფაინანსი 2	აშშ დოლარი	1-10-26	6%	2,197	-	3,205	36
HEKS/EPER	შვეიცარული ფრანკი	30-04-25	2%	924	5	1,029	-
სს თიბისი ბანკი 1	აშშ დოლარი	7-07-22	7%	878	4	1,574	8
სს თიბისი ბანკი 2	ევრო	30-07-21	6%	-	-	1,029	-
შპს იმფაქთ ფაინანს ფონდი	ევრო	31-07-21	5%	-	-	583	26
				6,530	**9**	**6,391**	**70**

*სესხების დაფარვასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია გაშიფრულია მე-14 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად, ასევე არაფულად ცვლილებებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	**6,461**	**3,295**
ფულადი ნაკადები	208	2,860
არაფულადი ნაკადები:		
პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	443	323
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი	(573)	343
სესხის პატიება	-	(360)
ნაშთი წლის ბოლოს	**6,539**	**6,461**

9. ამონაგები

	2022	2021
საქონლის რეალიზაცია	7,229	10,490
ფუმიგაცია და სხვა მომსახურება	-	70
	10,560	**10,560**

2022 წელს საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი საგრძნობლად შემცირდა გარე ფაქტორების გამო, კერძოდ, Covid-19-ის პირობებში თხილზე მოთხოვნა ზოგადად შემცირდა. ასევე რუსეთ-უკრაინის ომმა, რომელიც დაიწყო 2022 წლის თებერვალში, გამოიწვია ზოგადი გაურკვევლობა და მომხმარებელთა მსყიდველობითი უნარის შემცირება მათ შორის ევროკავშირის ბაზარზე, რომელიც წარმოდგენს თხილის რეალიზების მთავარ ადგილს. დამატებით ეკონომიკაში არსებულმა გაურკვევლობამ და ვალუტის გაუფასურებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ფასებზე თურქეთში, რითაც კიდევ უფრო შემცირდა შემოსავალი.

10. ხარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით

	2022	2021
ნედლეული და სახარჯო მასალები	(6,219)	(9,275)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,179)	(1,046)
მზა პროდუქციის გაუფასურება	(908)	(164)
ცვეთა	(693)	(777)
ტრანსპორტირება	(245)	(284)
შენახვა და შეკეთება	(148)	(108)
საკონსულტაციო მომსახურება	(121)	(123)
კომუნალური	(89)	(58)
საქონლის ინსპექტირებისა და ანალიზის ხარჯი	(46)	(36)
დაზღვევა	(38)	(41)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები	(26)	-
ცვლილებები მზა პროდუქციასა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგებში	39	379
სხვა	(217)	(172)
	(9,890)	**(11,705)**

11. სხვა წმინდა შემოსავალი

	2022	2021
სხვა შემოსავალი		
ავსტრიის განვითარების სააგენტოსგან მიღებული გრანტი	178	263
მენეჯმენტის მომსახურების საფასური	-	90
სხვა	8	23
	186	**376**
სხვა ხარჯები		
საგადასახადო ხარჯები გარდა მოგების გადასახადისა	(78)	(86)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(55)	-
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები	(1)	(23)
სხვა	(5)	(13)
	(139)	**(122)**
სხვა წმინდა შემოსავალი	**47**	**254**

12. წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

	2022	2021
ფინანსური შემოსავალი:		
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	474	-
	474	**-**
ფინანსური ხარჯი:		
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	(254)	(165)
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	(170)	(137)
სესხები სხვა მხარეებისგან	(19)	(21)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	-	(443)
	(443)	**(766)**
სულ წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	**31**	**(766)**

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობა
მიღებული სესხები	4,727	-	-
ამონაგები	-	3,200	-
სხვა წმინდა შემოსავალი	-	(3)	-
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(254)	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	-	(184)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	304	-
მიღებული სესხები	3,850	-	-
ამონაგები	-	2,980	-
სხვა წმინდა შემოსავალი	81	9	-
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(165)	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	-	(172)

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მიღებული სესხები

სესხების დაფარვა - 2022 წლის 7 ივლისს კომპანიამ სრულად დაფარა სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხი

სესხების მიღება - 2022 წლის 5 ივლისიდან 23 აგვისტოს ჩათვლით კომპანიამ მიიღო PAKKA FINANCE AG სესხი უკვე გაფორმებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში 854 ათასი ლარის ოდენობით.

2022 წლის 8 სექტემბერს კომპანიამ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება სს თიბისი ბანკთან 2,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. დაფარვის თარიღია 2023 წლის 7 ივნისი. 2022 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით კომპანიამ მიიღო 1,200 ათასი აშშ დოლარი (3,394 ათასი ლარი). საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი მერყეობს 10.5%-18%-ს შორის (ნომინალური პროცენტი იცვლება ლიბორის მიხედვით). ამ სესხის სასარგებლოდ კომპანიამ დააგირავა მიწა, შენობები და ნაგებობები, თხილის წარმოების მანქანა-დანადგარები.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

15.1 უცხოური ვალუტის გატარებები

(ა) ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

(ბ) გატარებები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გატარებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც უკავშირდება მიღებულ სესხებს და ფულს და ფულის ეკვივალენტებს წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 'წმინდა ფინანსური ხარჯი' მუხლში. ყველა სხვა კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება-ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 'სხვა წმინდა შემოსავალი' მუხლში.

15.2 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. ბანკის ოვერდრაფტი მოცემულია სესხების მიმდინარე ვალდებულებების ნაწილში.

სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში და წარმოდგენილია როგორც 'ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები'.

15.3 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

15.4 მარაგები

მარაგები ასახულია თვითღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ, შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს შეფუთვის, ნედლეულის, პირდაპირი შრომის, სხვა პირდაპირ და მასთან მიკუთვნებად საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ნორმალური საწარმოო სიმძლავრის მიხედვით). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ მარაგი გასაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული დასრულებისა და გაყიდვის დანახარჯებით; გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

15.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ:

	მომსახურების ვადა (წლები)
მიწა	არ იცვითება
შენობა-ნაგებობები	50
სილო და შესანახი ავზები	5-20
მანქანა-დანადგარები	2-20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

15.6 სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება.

გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს ცალკეული ფულადი სახსრების ნაკადები (CGU). არაფინანსური აქტივები, რომლებმაც განიცადეს გაუფასურება, მიმოიხილება გაუფასურების შესაძლო შეცვლის მიზნით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

15.7 მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გამსესხებლისთვის გადასახდელი ფულის რაოდენობის მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). მიღებული სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და წარდგენილია ფინანსურ ხარჯებში.

სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადაავადოს ვალდებულება.

სესხის მიღების ყველა ხარჯი აღიარებულია იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც მოხდა ხარჯის გაწევა.

15.8 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით და შემდგომში შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით

15.9 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალის ცვლილება, მფლობელობა, ა.შ.) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალში შენატანები აღირიცხება რეალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

15.10 ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვისთვის მიღებული ან მისაღების ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. ამონაგები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის, დაბრუნებული საქონლის ღირებულების, კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო და სხვა სახის ფასდათმობების გარეშე.

კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის შესაფერისი სპეციფიკური კრიტერიუმები, როგორც აღწერილია ქვემოთ:

(ა) საქონლის რეალიზაცია

კომპანია აწარმოებს თხილის პროდუქტებს და ყიდის მოვაჭრეებსა და სამრეწველო მომხმარებლებზე. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც კომპანია მყიდველს მიაწვდის პროდუქციას, გადასცემს სრულ უფლებას პროდუქციაზე და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ პროდუქციის მიღებაზე. საქონელი მიწოდებულად არ ჩაითვლება იქამდე, სანამ არ მოხდება პროდუქციის მიტანა კონკრეტულ ადგილამდე და დაძველებისა და დანაკარგის რისკი არ გადავა მყიდველზე, ან სანამ მყიდველი არ ჩაიბარებს პროდუქციას გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ან საქონლის ჩაბარების ვადა არ გავა ან სანამ კომპანიას არ ექნება ობიექტური მტკიცებულება, რომ აღიარების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

(ბ) მომსახურების მიწოდება

კომპანია უზრუნველყოფს ნაჭუჭიანი თხილის მტვრევის მომსახურების მიწოდებას თხილის ინდუსტრიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდი წევრისთვის. თხილის მტვრევის ღირებულებიდან ამონაგების აღიარება დამოკიდებულია დამტვრეული და მყიდველისთვის მიწოდებული ნაჭუჭიანი თხილის მოცულობაზე.

(გ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

15.11 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

15.12 დაბეგვრა

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი ზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი არის 15% (ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად).

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადის გარდა გადასახადები აღიარდება მაშინ, როცა ადგილი აქვს დასაბეგრ მოვლენას. დასაბეგრი მოვლენა არის მოვლენა რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები დაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

15.13 გრანტები

გრანტები აღიარდება რეალური ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება იმისა, რომ კომპანია გრანტს მიიღებს და შეასრულებს გრანტისთვის არსებულ ყველა პირობას. მიღებული გრანტები მოცემულია სხვა სრულის შემოსავლის ანგარიშგების შემდეგ მუხლებში: წმინდა ფინანსური ხარჯი, და სხვა წმინდა შემოსავალი/(ხარჯი).

15.14 იჯარა

სადაც კომპანია არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

15.15 გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთჩაითვალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

15.16 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

GEORGIA PAKKA

მმართველობის ანგარიშგება

შინაარსი:

1. კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა....23
2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები....23
3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა....23
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ....23
5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები....24
6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ....24
7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები....24
8. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა....24
9. თაღლითობა....25
10. მთავარი რისკები და გაურკვევლობა....25

1. კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა

შპს პაკკა ჯორჯია ქართული თხილის კომპანიაა, რომელიც 2013 წლიდან აწარმოებს და ექსპორტზე გააქვს ქართული თხილის პროდუქცია. წარმოადგენს რა საქართველოს თხილის ინდუსტრიის ერთ-ერთი აქტიურ მონაწილეს, კომპანიის სტრატეგია არის, პირველმა შექმნას სამართლიანი ვაჭრობის პრინციპებზე და ორგანული პროდუქტის მწარმოებელ ფერმერებზე დაფუძნებული ორგანიზაცია და ღირებულების ჯაჭვი.

საანგარიში წლის ბოლოს, 2021 წლის 30 ივნისს, კომპანიის დამფუძნებლები არიან: Pakka Finance AG - 64.03% და IMPACT FINANCE FUND SICAV - 35.97%.

კომპანიის მმართველობითი ოფისი და გადამამუშავებელი ქარხანა მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარში.

კომპანია ფლობს BRC სერტიფიკატს, რომელიც გაცემულია Lloyd's Register Quality Assurance Limited-ის მიერ. ეს არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სურსათის უვნებლობის და ხარისხის ნიშანი.

კომპანიას საქმიანობა უწევს მაღალ კონკურენტულ გლობალურ თხილის ბაზარზე. თურქეთი თითქმის მონოპოლისტია თხილის მსოფლიო ბაზარზე, აწარმოებს რა ბოლო წლების განმავლობაში მთლიანი მიწოდების დაახლოებით 70%-ს. უკანასკნელ პერიოდში თხილის ფასები არამდგრადია, ძირითადად ამინდის და მოსავლის მოცულობის რყევების გამო. ამასთან ერთად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თურქეთში ეკონომიკური არეულობა და ვალუტის დევალვაცია განაგრძობდა უარყოფითი გავლენის მოხდენას ინდუსტრიის სტაბილურობასა და მომგებიანობაზე.

კომპანიისთვის ნედლეულის ძირითადი წყარო არის საქართველო. აზიური ფაროსანას (“BMSB”) საქართველოში გავრცელების გამო, თხილის მოსავლის მოცულობა და ხარისხი მნიშვნელოვნად გაუარესდა. ამან ნეგატიური გავლენა მოახდინა კომპანიის შესაძლებლობაზე მიეღო საჭირო რაოდენობის მაღალხარისხიანი ნედლეული. შესაბამისად, კომპანიამ ვერ შეძლო სრული დატვირთვით გამოეყენებინა საკუთარი მოწინავე საწარმოო საშუალებები და მაღალი ხარისხის პროდუქცია მიეწოდებინა მისი მიზნობრივი მომხმარებელთა ბაზისთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

კომპანიამ წარმატებით შეძლო COVID-19 პანდემიით გამოწვეულ საწარმოო პრობლემებთან გამკლავება. კომპანიამ შეიმუშავა COVID-19-ის საპასუხო სრულყოფილი სამოქმედო გეგმა და შეძლო ნედლეულით მომარაგების უზრუნველყოფა, მკაცრი შრომითი დაცვისა და უსაფრთხოების პროცედურების შესაბამისად საწარმოო პროცესის ჩატარება და თავისი უცხოელი მომხმარებლებისთვის საქონლის მიწოდება. თუ მომავალში რამე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდება, პანდემიის სიმძიმის ამჟამინდელი შემცირების ფონზე, კომპანია არ ელის რაიმე პირდაპირ უარყოფით ზემოქმედებას მის ოპერაციებზე.

უკრაინის ომმა, რომელიც დაიწყო 2022 წლის თებერვალში, გამოიწვია ზოგადი გაურკვევლობა და მომხმარებელთა მსყიდველობითი უნარის შემცირება ევროკავშირში, რომელიც არის ქართული თხილის გასაღების მთავარი ბაზარი. კომპანია ცდილობს შეამსუბუქოს ზემოქმედება გეოგრაფიული დაფარვის და კლიენტების ბაზის დივერსიფიკაციის გზით.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

დღეს კომპანიის მიზანია გახდეს ფინანსურად გამართული და მიაღწიოს მდგრად ეკონომიკურ ზრდას. ორგანული პროდუქტები და სამართლიანი ვაჭრობა წარმოადგენს მომავალი განვითარების სტრატეგიის მთავარ საყრდენს.

თხილის გლობალურ ბაზარზე დამკვიდრებულ მოთამაშეებთან კონკურენციისათვის, საწარმოო პროცესების მუდმივი სრულყოფა ასევე გრძელვადიანი სტრატეგიის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია.

კომპანია აქტიურად არის ჩართული მაღალი დონის ინდუსტრიული მომხმარებლების მოძიების პროცესში და სურს პოზიციონირება როგორც პრემიუმ ხარისხის თხილის პროდუქტების საიმედო მიმწოდებელს საქართველოდან.

მაღალ მომგებიან ბაზრის სეგმენტში გაყიდვების გაუმჯობესებამ უნდა უზრუნველყოს ფიქსირებული ხარჯების სრულად დაფარვა და გრძელვადიანი მომგებიანობა.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია რაიმე კვლევისა და განვითარების საქმიანობა.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალი.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ათას ლარში	**2022**	**2021**
შემოსავალი	7,229	10,560
EBITDA - მოგება / (ზარალი) საპროცენტო ხარჯამდე, გადასახადებამდე და ცვეთის / ამორტიზაციის ანარიცხებამდე	(1,921)	(113)
წმინდა ზარალი	(2,583)	(1,657)
საერთო მოგების მარჟა	(23.7)%	(2.6)%
მოზიდული სესხის კაპიტალთან თანაფარდობა	3.0	1.4

2018 წლის ოქტომბერში კომპანიამ ექსპლუატაციაში შეიყვანა მეორე დონის გადამუშავების საწარმოო ხაზი, რომელიც დაფინანსდა სს თი-ბი-სი ბანკის სესხით და მხარდაჭერილ იქნა EBRD-ის გრანტით. გაყიდვების მაჩვენებლები არ დაემთხვა საწარმოო შესაძლებლობების ზრდას. შესაბამისად, ძირითადი საშუალებების დაბალმა უტილიზაციამ განაპირობა საანგარიშგებო პერიოდში წმინდა ზარალი.

2022 წელს კომპანიამ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა წლის დასაწყისში თხილის ფასის ვარდნის გამო. გაყიდვების მოცულობაც არ იყო სახარბიელო. შესაბამისად, საერთო მოგების მარჟა უარყოფითია.

საანგარიშგებო პერიოდში დამატებითი ზარალის გამო, შემცირდა კაპიტალის მოცულობა და შესაბამისად 2022 წელს კომპანიის მოზიდული სესხის კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი გაუარესდა.

კომპანიაში საშუალოდ 120 ადამიანია დასაქმებული, მუდმივი თანამშრომლების და დროებითი სეზონური მუშახელის ჩათვლით.

კომპანიას არ აქვს საგადასახადო ორგანოებთან დავების ისტორია და მნიშვნელოვანი ჯარიმების ან / და საურავების დარიცხვის შემთხვევები.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია საკუთარი აქციების გამოსყიდვა.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

კომპანია დიდ ძალისხმევას დებს თავისი ლოიალური ფერმერების ქსელის გასაძლიერებლად და ნედლეულით მომარაგების საიმედო ბაზის შესაქმნელად, რაც დაფუძნებული იქნება ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის პრინციპებზე.

კარგი ამოსავალი წერტილი არის ის, რომ კომპანიას უკვე აქვს აქტიური საქმიანი ურთიერთობა თხილის ინდუსტრიის გლობალურ ბაზარზე რამდენიმე მთავარ მოთამაშესთან. მიმდინარეობს აქტიური კამპანია, არსებული მომხმარებლის ბაზის გასადიდებლად. ეს ხელს შეუწყობს კომპანიის საქმიანობის გრძელვადიან მდგრადობას და მომგებიანობას.

კომპანია მოწადინებულია საკუთარი გუნდი გააძლიეროს ადგილობრივი ნიჭიერი კადრებით.

8. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა

კომპანია წახალისებას უკეთებს მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებულ ურთიერთობებს თხილის ღირებულებითი ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე:

- გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობები ფერმერებთან;
- ტექნიკური დახმარება მოსავლიანობის გასაუმჯობესებლად;
- ორგანული სასოფლო-სამეურნეო მეთოდების პოპულარიზაცია;
- ფერმერებისთვის სამართლიანი ფასების შეთავაზება და უკეთესი სამუშაო პირობები თანამშრომლებისთვის;
- პროდუქციის უსაფრთხოების მაღალი დონე და მიკვლევადობა.

9. თაღლითობა

ზოგადად კონტროლის გარემო კომპანიაში, პროცესები და პროცედურები შექმნილია თაღლითობის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. საანგარიშგებო პერიოდში არ დაფიქსირებულა კონტროლის პროცედურების მნიშვნელოვანი დარღვევა.

10. მთავარი რისკები და გაურკვევლობა

ხელმძღვანელობას დანერგილი აქვს პროცესები რისკების შეფასებისა და შემსუბუქების მიზნით, რათა შემცირდეს მათი პოტენციური უარყოფითი გავლენა და კომპანიამ შეძლოს გრძელვადიანი მიზნებისა და ბიზნეს სტრატეგიის მიღწევა.

ჩვენი ბიზნესისა და საქმიანობისთვის ყველაზე აქტუალურად ითვლება შემდეგი:

ძირითადი რისკები	აღწერა	პოტენციური ზემოქმედება	შემამსუბუქებელი გარემოებები
პროდუქტის ხარისხი და უსაფრთხოება	• უარყოფითი მოვლენა, რომელიც გამოწვეულია სურსათის უვნებლობის ან სხვა შესაბამისობის პრობლემით.	• ნეგატიური გავლენა კომპანიის რეპუტაციაზე და მომხმარებელთა ნდობის დაკარგვა; • ფინანსური ზარალი.	• ორგანიზაციის მასშტაბით სურსათის უვნებლობის კულტურის გაძლიერება; • BRC სერტიფიცირების სტანდარტებისა და სურსათის უვნებლობის ადგილობრივი მოთხოვნების მკაცრი დაცვა.
ნედლეულით მომარაგების მდგრადობის და მიწოდების ჯაჭვის მოშლა	• სოფლის მეურნეობის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მავნებლებთან, დაავადებებთან და ამინდის პირობების ცვლილებებთან; • ძირითადი მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენენ ნედლეულის წყაროებზე და წარმოების ობიექტებზე, მაგალითად გაფიცვები, პოლიტიკური არეულობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია და ა.შ.	• პრობლემები მიწოდების უზრუნველყოფაში რამაც შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის დაზიანება; • საქონლის თვითღირებულების ზრდა რაც უარყოფითად აისახება საქმიანობის ზრდაზე და მომგებიანობის მაჩვენებლებზე.	• კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ხელშეწყობა; • ორგანიზაციული პოლიტიკა და პროცედურები, ჩვენი ხალხის ჯანმრთელობისა და პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; • ბიზნესის უწყვეტობისა და კატასტროფის შემდგომ აღდგენის გეგმა.
კონკურენცია	• თურქეთის მნიშვნელოვანი გავლენა თხილის პროდუქტების მიწოდებასა და ფასებზე. • მომგებიან ბაზრის სეგმენტებში შესვლის ბარიერები რაც განპირობებულია თურქული კომპანიების დომინირებით და მათი, როგორც თხილის პროდუქტების ფართო ასორტიმენტის მდგრადი მიმწოდებლის რეპუტაციით.	• მსოფლიო ბაზარზე მიწოდებული თხილის პროდუქტების მოცულობის რყევები ან თურქული ლირის არამდგრადობა, კომპანიას აყენებს ფასების რისკის და მარაგების გაუფასურების საფრთხის ქვეშ. მაღალი დონის ინდუსტრიული კლიენტების საბაზრო წილის დაკავების შესაძლებლობის არქონა.	• აქტიური კამპანია რაც ხელს შეუწყობს საქართველოს როგორც თხილის საიმედო ალტერნატიული ადგილწარმოშობის რაიონის წარმოჩენას. • საქართველოს, როგორც თხილის პროდუქტების საიმედო მიმწოდებლის, პოპულარიზაცია, რომელიც წარმოების პროცესში იცავს ორგანული მეთოდებისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს.

სავალუტო რისკი	• ქართული ლარის მნიშვნელოვანი დევალვაცია.	• გრძელვადიანი აქტივების შესაძენად მოზიდული სესხები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. შედეგად, კომპანია დგას მნიშვნელოვანი სავალუტო რისკის წინაშე.	• შემოსავლები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში - აშშ დოლარში და ევროში. ეს საშუალებას აძლევს კომპანიას სესხების მომსახურებისთვის განკუთვნილი უცხოური ვალუტის გადინება დააბალანსოს რეალიზაციიდან მიღებული ფულადი ნაკადებით.

მმართველობის ანგარიშგება 2022 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2022 წლის 28 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი _____ გიორგი ვასაძე

სავალუტო რისკი	• ქართული ლარის მნიშვნელოვანი დევალვაცია.	• გრძელვადიანი აქტივების შესაძენად მოზიდული სესხები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. შედეგად, კომპანია დგას მნიშვნელოვანი სავალუტო რისკის წინაშე.	• შემოსავლები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში - აშშ დოლარში და ევროში. ეს საშუალებას აძლევს კომპანიას სესხების მომსახურებისთვის განკუთვნილი უცხოური ვალუტის გადინება დააბალანსოს რეალიზაციიდან მიღებული ფულადი ნაკადებით.

მმართველობის ანგარიშგება 2022 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2022 წლის 28 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი _____ გიორგი ვასაძე